

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2021 წელში და 2022 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიისა და სამსახურის დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

2021 წელში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში განსახილველად და შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით შემოსულია 150 ერთეული წერილი სხვადასხვა უწყებებიდან და ფიზიკური პირებიდან, ხოლო 2022 წლის პირველი იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე 185, ყველა წერილი შესწავლილი და პასუხგაცემულია სამსახურის მიერ.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია „სათეფა“ -ს მიერ განხორციელებული ინვენტარიზაციისას გამოვლინდა, რომ 416 ობიექტი კერძოდ: ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზები, ხიდები და ხიდბოგირები, ბოგირები, ბონდები, ნაპირსამაგრი გაბიონი და საყრდენი კედლები, ქუჩის განათებები, წყლის სათავე ნაგებობები და რეზერვუარები, ჭაბურღილები, წისქვილები, სკვერები, მოედნები, თავშეყრის ადგილები, სარიტუალო დარბაზები, მოსაცდელელები, ფანჩატურები, მემორიალი და სხვა უძრავი ქონების ობიექტები არ იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. შესაბამისი სამსახურის მიერ გამოცხადდა ტენდერი აღნიშნული ქონების საკადასტრო - აზომვითი ნახაზების მომსახურების შესყიდვაზე და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საკადასტრო ნახაზების მიხედვით მოამზადა თითოეულ მათგანზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანების) და მიმართვის პროექტები, რომლებიც გადაგზავნილი იქნა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით.

რეგისტრაციის შემდეგ კი სამსახურის მიერ მოხდა ყველა მათგანის ქონების ბაზაში განთავსება.

2021 წელში სამსახურის მიერ მომზადდა წერილები და გაიგზავნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში, რომლის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებები: ლაშის იგორეთში მდებარე 19 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსდა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების მიზნით საჭირო ინფრასტრუქტურა, სოფელ ვარძიაში 150 კვმ, სოფელ ღორეშაში 90 კვმ, სოფელ ბაზალეთში 851 კვმ, დაბაში 92 კვმ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები საპრივატიზაციოდ. რამდენჯერმე იქნა მომზადებული სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გადასაგზავნი წერილები დ. ხარაგაულში სოლომონ მეფის N6-ში მდებარე ავარიულ შენობაში - ყოფილ უნივერსიტეტში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფართების გადმოცემასთან დაკავშირებით და აღნიშნული ფართები გადმოეცა და დარეგისტრირდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. აგრეთვე სააგენტოდან მიღებული თანხმობით დარეგისტრირდა სოფელ ზვარეში 500 კვ.მ და სოფელ ბორითში 30 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის პრივატიზებაც განხორციელდა ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, რეგისტრაცია განხორციელდა სოფელ ხუნევში მდებარე 3830 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით მშენებელ კომპანიაზე გაცემის მიზნით.

მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების მოწყობის მიზნით განხორციელდა სოფელ წყალაფორეთში 21 კვ.მ, სოფელ ლაშეში 11 კვ.მ, სოფელ ღორეშაში 187 კვ.მ, სოფელ ფონის 2 უბანში და ბორითში წყლის სათავე ნაგებობების რეგისტრაციები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. დარეგისტრირდა მაქათუბნის და დეისის წისქვილები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. განხორციელდა დაბაში ცენტრალური ბიბლიოთეკის დაყოფა, ნაწილი გაიყვანა სარგებლობის უფლებით ა.(ა.)ი.პ. „განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი თაირისზე“. აგრეთვე განხორციელდა სოლომონ მეფის N92-ში მდებარე

უძრავი ქონების დაყოფა, ნაწილი პრივატიზაციის მიზნით. ბორითის ადმინისტრაციულ შენობაში ცალკე კოდი მიენიჭა 16 კვ.მ ფართს, რომელიც გაიცა იჯარით სოფლის მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურეობის მიზნით. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნით განხორციელდა თბილისი-სენაკ-ლესელიძის E-60 ავტომაგისტრალის პროექტის ფარგლებში რიკოთის გზაზე მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის კუთვნილი რამდენიმე უძრავი ქონების დაჭრა სოფელ ხევში და ბორითში, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში აღნიშნული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. განხორციელდა სოფელ ბორითში ყოფილი საავადმყოფოს უძრავი ქონების დაყოფა, ნაწილი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში სადაც განთავსდება სახანძრო სამაშველო სამსახური. სოფელ ხევში 412 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის. განხორციელდა ასევე ბორითში სავაჭრო ცენტრის დაყოფა, ასევე საჯარო რეესტრში ხორციელდებოდა რეგისტრირებული ფართების საზღვრების კორექტირება- დაზუსტება.

2022 წლის პირველი იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე სამსახურის მიერ მომზადებულია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში გაგზავნილია 71 მიმართვა, რომლის საფუძველზეც საკუთრებაში დარეგისტრირდა 37 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო დანარჩენი წარმოადგენდა უძრავი ქონების დაყოფის, სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის ან გადაცემული ქონების სარგებლობის უფლების შეწყვეტის და რეგისტრირებული ფართების საზღვრების კორექტირება - დაზუსტების მოთხოვნას.

2022 წლის განვლილ პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია სარგებლობის უფლებით 5013 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სკვერის მოწყობის მიზნით. ასევე ბორითში გადმოცემულია საბავშვო ბაღის

მშენებლობისათვის 1400 კვ.მ უძრავი ქონება. დაყენებულია საკითხი თანხმობის მისაღებად სოფელ თეთრაწყაროში სპორტული მოედნისთვის 7362 კვ.მ უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის შესახებ. ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილია მოთხოვნა სოფელ ვარძიაში, ავარიულ მდგომარეობაში არსებული ყოფილი მაღაზიის შენობის გადმოსაცემად, რომელიც მოთხოვილია სადემონტაჟოდ, შემდგომში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის მიზნით. ვერ განხორციელდა დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის მე-2 შესახვევში მდებარე ყოფილი რაიკავშირის 391 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ნანგრევებით) გადმოცემა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა იქ არსებული საუბნო გზის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რადგან ქონება წარმოადგენდა ყოფილი რაიკავშირის ქონებას და საგამომიებო ორგანოებში მიმდინარეობს საქმის წარმოება, რომელიც არ არის დასრულებული.

2022 წელს გაფორმდა მიწის ნაკვეთების ჩუქების 2 ხელშეკრულება, კერძოდ ფიზიკურმა პირებმა სოფელ ვარძიასა და ვახანში ჭაბურღილების მოსაწყობად მუნიციპალიტეტს გადმოსცა რეგისტრირებული ფართები, რომლებზეც უკვე მოეწყო ჭაბურღილები. განხორციელდა ბაზალეთის, ხიდარის, ვარძიის, ვახანის და ფარცხნალის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ამბულატორიების ფართების გამიჯვნა და სოფელ სარგვეშში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, მისი შემდგომში სახელმწიფოსა და სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემის მიზნით.

2021 წელს ხარაგაულის მერიის დაინტერესების საფუძველზე გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულებები: სოფელ ხევში 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 36.05.33.322) ამბულატორიის მშენებლობისთვის და სოფელ სადანძილში მდებარე 147 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, და მასზედ მდგარი 89 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (ს/კ 36.14.34.393) ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის. სოფელ ხევში ბიბლიოთეკისა და ამბულატორიის ახალი შენობის მშენებლობამდე

გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მერიამ უზრუნველყო ფართით დაკმაყოფილება აღნიშნული ორგანიზაციების.

უსასყიდლო აღნაგობის უფლებით ეკლესიის მშენებლობისთვის საპატრიარქოს 30 წლის ვადით გადაეცა სოფელ ღარიხევში 1329 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზედ მდგარი 207,51 კვ.მ შენობა ნაგებობით და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

2021 წელს გაფორმებულია უსასყიდლო უზურფრუქტის 17 ხელშეკრულება, თხოვების წესით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირზე გადაცემულია სამი ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ხოლო 2022 წელში ერთი სატრანსპორტო საშუალება.

2021 წელს გაფორმებულია 5 იჯარის ხელშეკრულება, 2022 წელს კი 6 ხელშეკრულება. იჯარის გადასახდი 2021 წელში შემოსულია 13 970 ლარი, ხოლო 2022 წლის პირველი სექტემბრის მდგომარებით შემოსულია იჯარის გადასახადი 15 571 ლარი. მოიჯარეებიდან იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ეგზავნებათ წერილები გადაუხდელი ქირის გადახდის მიზნით.

სამსახური მუნიციპალიტეტის მერიაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების საფუძველზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების განკარგვას „ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ, მერის წარმომადგენლების დახმარებით ახდენს მოკვლევას და შესწავლას ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის შესახებ და წერილობით ინფორმაციას აწვდის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას. საანგარიშო პერიოდში შესწავლა და მოკვლევა მოხდა 14 წერილზე.

სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, 2021 წელს ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 8 ელექტრონული აუქციონი რომლის საფუძველზე გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონება

და ბიუჯეტში პრივატიზაციის თანხებიდან შემოვიდა 42882 (ორმოცდაორიათასრვაასოთხმოცდაორი) ლარი, ხოლო 2022 წელს ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 2 ელექტრონული აუქციონი, აქედან შედგა ერთი აუქციონი და ქონების პრივატიზაციის შემოსავალმა შეადგინა 2022 (ორიათასოცდაორი) ლარმა, ხოლო მეორე აუქციონი არ შედგა. 2022 წელს ასევე 5 ელექტრონული აუქციონი იყო გამოცხადებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით განკარგვაზე, რომელთაგან 4 აუქციონი შედგა, ხოლო ერთი არ შედგა.

სამსახურს კომუნიკაცია აქვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მომრავლებულ გარეულ ცხოველთა რეგულაციის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება 927.09.2021 წლის N 2-1387) დაურიგდა მერის წარმომადგენლებს, რომელშიც გასაზღვრულია ცხოველთა იმ სახეობის ჩამონათვალი, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ხოლო მერის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხს ადგილზე გააცნობდნენ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას.

გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიგზავნის პროგნოზს, მოსალოდნელი ამინდის და სტიქიური მოვლენების შესახებ და საფრთხის არსებობის შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ვავრცელებთ აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას.

სამსახურის ინიციატივით 2021-2022 წელს 4 -ჯერ გაიმართა დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩაერთნენ მერიის საჯარო მოსამსახურეები და ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან შეთანხმებით ვახდენთ იმ იურიდიული პირების ინფორმირებას, რომელთაც მიეწოდებათ დასუფთავების სერვისი და მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოსაკრებლის გადახდასთან

დაკავირებით ვუფორმებთ დასუფთავების ხელშეკრულებებს. იურიდიულ პირებთან დღეის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის 111 ხელშეკრულებაა გაფორმებული და კვლავ მიმდინარეობს ინფორმაციის მოკვლევა ნარჩენების წარმომქმნელ იურიდიულ პირებზე, რომლებმაც უნდა გადაიხადონ გაწეული მომსახურების ღირებულება. რიგი იურიდიული პირები ითხოვენ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას, რომლის საფუძველზეც იხდიან დასუფთავების გადასახადს და ხდება აღნიშნული აქტების პროექტების მომზადება-დაგზავნა. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 119 317 ლარი.

მოგახსენებთ, რომ შექმნილი არის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას და სამსახური აქტიურად არის ჩართული კომისიის მუშაობაში, ასევე სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების და ნარჩენების მართვის გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით. აქტიურად ვთანამშრომლობთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიასთან.